27/08/2025

MES 7 25 0001030975

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 14 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არაშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი
დავით კუპატაძე
ქრისტინე ახალაძე
ნინო ქიტიაშვილი
ნინო მაზმიშვილი
ელისო მურვანიძე
ხათუნა მაისაია
მანანა მახარაშვილი
ნინო კახიძე
თამარ ძველაია
გიული გურგენიძე
ქეთევან ღვანიძე
თამილა გრძელიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სიო
დირექტორი - გიორგი სიორდია

შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი
ხარისხის მართვის მენეჯერი - სოფიკო ყულეჯიშვილი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
ნაილა ჩელებაძე - პრორექტორი
ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
მზია შავაძე - იურისტი
ია შალამბერიძე - იურისტი
ეკატერინე გელენიძე - სასწავლო პროცესის ზედამხედველი
ინეზა ფუტკარაძე - სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახური
ირა აბულაძე - პროფესიული განათლების ცენტრის უფროსი

სონია ჩეჩელაშვილი - ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი
დედა ბარბარე - სკოლამდელი აღმზრდელი პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი
რუსლან ბოლქვაძე - საექთნო განათლება პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს სიოსთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს სიოსთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს სიოს მიერ "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ცენტის წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით, კერძოდ, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგით მეოთხე საკითხი, რომელიც ეხებოდა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციას განხილულიყო პირველ საკითხად.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული შუამდგომლობა მიიღო ცნობად.

განახლებული დღის წესრიგი:
1. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

2. შპს სიოსთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს სიოსთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს სიოს მიერ "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

პირველი საკითხი: შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომრე - ქეთევან ბოტკოველი - - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; წევრები: დავით კუპატაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; ქრისტინე ახალაძე - დარგის ექსპერტი - "გემბანის რიგითი მეზღვაური", ''სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური') - .დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. ბათუმის, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში 2025 წლის 24, 25 და 26 ივნისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორის 2.2.1.4 რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს რეგულარული კავშირი დარგობრივ ექსპერტებთან და დამსაქმებლებთან, რათა პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები მუდმივად შესაბამისობაში იყოს საზღვაო სექტორის მიმდინარე მოთხოვნებთან.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ იჯარის ფლობით უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა მოცულობითა და ფუნქციურად სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მოთხოვნებს. ფართების რაოდენობრივი მაჩვენებლები საშუალებას იძლევა განთავსდეს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სპეციალიზებული სასწავლო სივრცეები. გარდა ამისა, ფლობის ფორმა — იჯარა — მართულია შესაბამისი ხელშეკრულებებით და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, რაც გამჭვირვალე და სამართლებრივად მდგრად მოდელს ქმნის. საერთო სარგებლობის სივრცეების ხელმისაწვდომობა და ადეკვატურობა უზრუნველყოფს კოლეჯში ყოველდღიური სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გამართულ ფუნქციონირებას. შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინკლუზიური გარემოს ფორმირებას. საერთო სივრცეების რაოდენობა და განლაგება საშუალებას იძლევა კოორდინირებულად და ორგანიზებულად განაწილდეს ადამიანური რესურსი და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტური და სამუშაო კომფორტი. კოლეჯს გააჩნია შემდეგი სასწავლო გარემო: 9-A ტიპის სასწავლო სივრცე — 177 ადგილი, 3 AC ტიპის გარემო — 44 ადგილი, 2-B ტიპის აუდიტორია — შესაბამისად, 20 და 10 ადგილიანი. ყველა სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტების მაგიდებითა და სკამებით; დაფებითა და პროექტორებით; პროფესიული მასწავლებლების სამუშაო ინვენტარით. AC ტიპის სივრცეები დამატებით აღჭურვილია: ტექნიკური მოწყობილობებით; თვალსაჩინოებებითა და სიმულაციური დანადგარებით; თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის საჭირო რესურსებით; ინტერნეტმონიტორებით. სასწავლო გარემოების რაოდენობრივი და ფუნქციური მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სხვადასხვა პროფესიული მიმართულებისათვის შესაბამისი სივრცეების არსებობას. AC და B ტიპის სივრცეების არსებობა ხაზგასმით აჩვენებს სპეციალიზებული სწავლების საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო სივრცეების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით ამაღლებს სწავლების ხარისხს და უწყობს ხელს აქტიური სწავლის მეთოდოლოგიების დანერგვას. კოლეჯს გააჩნია შემდეგი ტექნიკური აღჭურვილობა:62 კომპიუტერი, 12 პროექტორი, 12 ეკრანი, 11 პრინტერი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან, მდგრად განხორციელებას და სრულ შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან. სსსც ეკვატორი“-ს

შენობა აღჭურვილია შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობისა და საგანგებო სიტუაციების მართვის მოთხოვნებთან შესაბამისი სისტემებით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და დაცულ გარემოს როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. სტუდენტებისა და პერსონალისთვის რეგულარულად ტარდება სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები და პრაქტიკული სწავლებები, დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შეახებ "საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე და შეესაბამება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე შრომის უსაფრთხოების სტანდარტებს. დაწესებულებას ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტებული პროგრამა და ფლობს მოქმედ სერტიფიკატს. „სსსც ეკვატორი"-ში საბიბლიოთეკო საქმიანობა რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით და ბიბლიოთეკის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციებით, რომლებიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესს და შესაბამისი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მომსახურების მიმართულებით. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული ფორმით. პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ (OpenBiblio) კატალოგებსა და რესურსებზე, რაც ხელს უწყობს სწავლების ციფრულ მხარდაჭერას. დაწესებულებამ წარმოადგინა მის მიერ იჯარით აღებულ სამივე ობიექტზე არსებულ ფართზე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები და შესაბამისი დადებითი დასკვნები. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რითაც დასტურდება, რომ შენობის კონსტრუქციული მდგრადობა უზრუნველყოფილია და შესაძლებელია მისი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

ექსპერტის განცხადებით, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. IT უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგებით. ირკვევა რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. მისი აღნიშვნით, საჭიროების შემთხვევაში სწრაფადვე მიმდინარეობს ხარვეზების აღმოფხვრა. დაწესებულების „საქმისწარმოების წესის" შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) შემოსული კორესპონდენცია იმავე დღეს წარედგინება კოლეჯის დირექტორს (ან მის მიერ დელეგირებულ პირს) განსახილველად. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებგვერდი www.equator.ge, რომელზეც საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია: საკონტაქტო მონაცემები მისამართის მითითებით, კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, კოლეჯის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, იურიდიული დოკუმენტაცია (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პროფესიული სტუდენტთა ეთიკის კოდექსითა და სხვა დოკუმენტებით), სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, აგრეთვე მიმდინარე სიახლეები. კოლეჯი ასევე იყენებს სოციალურ ქსელს – www.facebook.com. და ელექტრონულ ფოსტის მისამართებს: info@equator.ge. და contact.equator1@gmail.com. აღნიშნული არხებით ხორციელდება კომუნიკაცია როგორც პერსონალთან და სტუდენტებთან, ასევე პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. Facebook გვერდის ადმინისტრირებასა და ინფორმაციების განახლებაზე პასუხისმგებელია IT

მენეჯერი. დაწესებულების ძირითადი შემოსავლის წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის ფინანსური მენეჯერი კალენდარული წლის დასაწყისში ადგენს საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულების შემდეგ ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების დეტალურ ანალიზს. აღნიშნული ანალიზი მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობის, ფინანსური რესურსების მობილიზაციის ეფექტურობის და შესაძლო რისკების შეფასებას. ფინანსური ანგარიშგების შედეგები გამოყენებულია სამოქმედო გეგმების კორექტირებისა და ფინანსური მართვის პროცესების ოპტიმიზაციის მიზნით. წარმოდგენილია კოლეჯის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება მართვის გადაწყვეტილებების მხარდაჭერისათვის, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ განაწილებას და საქმიანობის ეფექტიანობას.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მფლობელობაში აქვს ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N33/35-ზე მდებარე შენობა და დამატებით, ბათუმ-გორის ჩიხი N2 პრაქტიკული სწავლების სივრცეები. დაწესებულებას გააჩნია მიზნობრივად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: A და B გარემოს თეორიული სწავლებისათვის (სულ 4 აუდიტორია, აღჭურვილი კომპიუტერებით და სასწავლო პლაკატებით) და C გარემოს, სადაც განთავსებულია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სიმულატორები, სამაშველო ტივი, სამედიცინო მულაჟები, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და სხვა სპეციალიზებული აღჭურვილობა. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოს დათვალიერება, რაც მოიცავდა აუდიტორიებს, პრაქტიკული სწავლების სივრცეებსა და საწვრთნელ ინფრასტრუქტურას. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადეკვატურად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსები ხელმისაწვდომია სწავლის ყველა ეტაპზე, ხოლო მათი რაოდენობა და მოცულობა გათვლილია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით. პროგრამისთვის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური”, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში აღნიშნული პროგრამისთვის დაწესებულებას ჰყავს 25 პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ დარგობრივ კომპეტენციებს და აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. პარტნიორებთან თანამშრომლობა ფორმალიზებულია შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და შპს „ლმნტ“ გემ ახტიართან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების

პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებები ფორმდება 3 წლის ვადით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გემ კადეტზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ვალდებულია მიიღოს თავის მცურავ საშუალებაზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული უნარ ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით. გემზე ვიზიტისას, ექსპერტების მიერ მოხდა გასაუბრება, სტუდენტებთან, გემის კაპიტანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გემბანის რიგითი მეზღვაური“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „გემბანის რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას მის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მფლობელობაში აქვს ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N33/35-ზე მდებარე შენობა და დამატებით, ბათუმ-გორის ჩიხი N2 პრაქტიკული სწავლების სივრცეები. დაწესებულებას გააჩნია მიზნობრივად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: A და B გარემოებს თეორიული სწავლებისათვის (სულ 4 აუდიტორია, აღჭურვილი კომპიუტერებით და სასწავლო პლაკატებით) და C გარემოს, სადაც განთავსებულია პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო სიმულატორები, სამაშველო ტივი, სამედიცინო მულაჟები, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და სხვა სპეციალიზებული აღჭურვილობა. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო გარემოს დათვალიერება, რაც მოიცავდა აუდიტორიებს, პრაქტიკული სწავლების სივრცეებსა და საწვრთნელ ინფრასტრუქტურას. ექსპერტთა შეფასებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ადეკვატურად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. რესურსები ხელმისაწვდომია სწავლის ყველა ეტაპზე, ხოლო მათი რაოდენობა და მოცულობა გათვლილია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაზე, რაც დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით. პროგრამისთვის “გემბანის რიგითი მეზღვაური“ ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში დაწესებულებას ჰყავს 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც ფლობენ დარგობრივ კომპეტენციებს და აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. პარტნიორებთან თანამშრომლობა ფორმალიზებულია შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარების განვითარებას რეალურ სამუშაო გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის რეალიზებისთვის დაწესებულების მიერ გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და შპს „ლმნტ“ გემ ახტიართან. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პირობები და სტუდენტთა გამტარიანობა, მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებები ფორმდება 3 წლის ვადით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე, კერძოდ შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორსა“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გემ კადეტზე. ხელშეკრულების შესაბამისად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ვალდებულია მიიღოს თავის მცურავ საშუალებაზე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები პროგრამით გათვალისწინებული უნარ ჩვევების დაუფლების ხელშეწყობის მიზნით. გემზე ვიზიტისას, ექსპერტების მიერ მოხდა გასაუბრება, სტუდენტებთან, გემის კაპიტანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ყველა სტუდენტი აღჭურვილი იყო უსაფრთხოების ტექნიკის დამცავი საშუალებებით.

პრეზენტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიდეორგოლი, რომელიც კოლეჯს, რეკლამის მიზნით, განთავსებული აქვს საკუთარ სოციალურ ქსელში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 2.2.1.4 ინდიკატორს ორივე პროგრამისთვის. საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასმული კითხვა შეეხებოდა ინდიკატორის აღწერასა და რეკომენდაციის შინაარსის ურთიერთკავშირს: ინდიკატორის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული და იცნობს დარგის სიახლეებს, რაც დადებითად აისახება პროგრამის განხორციელებაზე, მაშინ როდესაც განმავითარებელი რეკომენდაცია ითხოვს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად უნდა ეცნობოდეს დარგის სიახლეებს. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება მოითხოვა, ხომ არ იჩენს თავს შეუსაბამობა აღნიშნულ ჩანაწერებს შორის.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელები ნამდვილად იცნობენ დარგის სიახლეებს, თუმცა აღნიშნული სფერო იმდენად დინამიკურია, რომ აუცილებელია მუდმივი კავშირი დარგის როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სიახლეებთან, აგრეთვე ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნებთან. სწორედ ამ მიზეზით გაიცა შესაბამისი განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, რეკომენდაციაში სასურველი იყო განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულიყო ინგლისური ენის ცოდნაზე.

ექსპერტის განმარტებით, აქცენტი გაკეთებულია როგორც დარგთან მუდმივ კავშირზე, ისე ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე, თუმცა ტექსტში ეს შეიძლება ერთმნიშვნელოვნად არ წარმოჩენილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული პროფესიონალური საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს (ს/კ: 24562481) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 1).** გადაწყვეტი ლების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

მეორე საკითხი: შპს სიოსთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 18 ივნისის ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 16 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სიო-ში (ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. შპს სიოს ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425898 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების უფლება, სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 195; ხოლო ახალი ფართის შეძენასთან დაკავშირებით კოლეჯს სურს პროგრამების დამატება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებულ ფართში ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის 72/დ). ახლა კი კოლეჯმა შეიძინა და გაარემონტა საკუთარი შენობა ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა), რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ახალი შენობა აშენდა კოლეჯის საჭიროებებზე მორგებულად – გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამების სპეციფიკა, თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები. საკუთარ შენობაში კოლეჯს შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე. საკუთარი ფართი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს საქმიანობის მეტი მოქნილობა და გრძელვადიანი სტრატეგიული და მდგრადი განვითარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ადმინისტრაციული სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულების განაცხადით, ხორციელდება კოოპერაციულ გარემოში. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყოფა სივრცე/აუდიტორია, სადაც დაგეგმილია საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსითა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, მოეწყოს სასწავლო A/B გარემო. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია პროგრამის/მოდულების განხორციელებისთვის საჭირო რესურსი. მატერიალური რესურსის ნუსხა დანართის სახით ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტს. პროგრამისთვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა დათვალიერებით დადასტურდა. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულება ქვემოთ მოყვანი 2 დაწესებულებასთან: შპს ქუთაისის სკოლა მერმისი (40 სტუდენტი), ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (40 სტუდენტი). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს ახორციელებს 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგად

მოდულების 4 მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან; „ხარისხის სამოქმედო გეგმაში“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება და დატრენინგების საკითხები. პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის პერიოდში შემოწმდა მათი პირადი საქმეები. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განსახორციელებლად, პროფესიული განათლების მასწავლებლები, აყვანილნი არიან დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ჩატარდა გასაუბრება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით დაისვა კითხვა, თუ როგორ ანაწილებს 40 სტუდენტს კოლეჯი პრაქტიკის ობიექტებზე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე 20-20 სტუდენტი ნაწილდება, რაც ხელშეკრულებებში ნათლადაა გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რა მიმართულებით გადამუშავდა საოფისე საქმის პროგრამა, რომელსაც დაერქვა ადმინისტრაციული სერვისები, რა გაუმჯობესდა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ შეიცვალა კვალიფიკაცია, შეიცვალა მისაღწევი უნარები, მათ შორის დაემატა ფინანსების მოდული, თუმცა დონე არ შეცვლილა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სიოსთვის "ადმინისტრაციული სერვისების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს სიოს (ს/კ: 212797945) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ადმინისტრაციული სერვისები" **(დანართი 2).**

მესამე საკითხი: შპს სიოსთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 18 ივნისის N697977 ბრძანებების საფუძველზე 2025 წლის 17 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სიო-ში (ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა) „მასაჟის თერაპიის““ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების

ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. შპს სიოს ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425898 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების უფლება, სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 195; ხოლო ახალი ფართის შეძენასთან დაკავშირებით კოლეჯს სურს პროგრამების დამატება. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებულ ფართში ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის 72/დ). ახლა კი კოლეჯმა შეიძინა და გაარემონტა საკუთარი შენობა ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა), რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ახალი შენობა აშენდა კოლეჯის საჭიროებებზე მორგებულად – გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამების სპეციფიკა, თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები. საკუთარ შენობაში კოლეჯს შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე. საკუთარი ფართი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს საქმიანობის მეტი მოქნილობა და გრძელვადიანი სტრატეგიული და მდგრადი განვითარება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით. C სასწავლო გარემო - აუდიტორია გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია 10 სამედიცინო ტახტი/ტაფჩანით, სკამით და სხვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი დაწესებულებასთან რომელსაც მობილიზებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალური რესურსის სარეკომენდაციო რაოდენობაზე გაცილებით მეტი სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი და სკამი. შესაბამისად დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით ორ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული დანართი 1-ით - ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 7 პროფესიული მოდულებისთვის (მათ შორის 1 პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტრუქტორს), 4 ზოგადი მოდულებისთვის, 1 ქართული ენის მოდულისათვის. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, აქვს თუ არა კოლეჯს საშუალება 60 პროფესიული სტუდენტი მიიღოს ერთდროულად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2 ცვლაში შესაძლებელია 60 პროფესიული სტუდენტის მიღება, ჯგუფში 15-15 სტუდენტი. ამ რაოდენობის სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის გავლა პარტნიორ კომპანიებში არის სრულად უზრუნველყოფილი, რაც დადასტურდა კომპანიებში ვიზიტებით და ადგილზე გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სიოსთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს სიოს (ს/კ: 212797945) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ **(დანართი 3).**

მეოთხე საკითხი: შპს სიოს მიერ "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 23 ივნისის N723323 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 15 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს სიო-ში (ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა) „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წინასწარ და ვიზიტის პერიოდში მოწოდებული ინფორმაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. შპს სიოს ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის N425898 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ განხორციელების უფლება, სტუდენტთა ზღვრული ოდენობით - 195. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი საქმიანობას ახორციელებდა იჯარით აღებულ ფართში ქუთაისი, გალაკტიონ ტაბიძის 72/დ). ახლა კი კოლეჯმა შეიძინა და გაარემონტა საკუთარი შენობა ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა), რაც უზრუნველყოფს უფრო მდგრად და ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ახალი შენობა აშენდა კოლეჯის საჭიროებებზე მორგებულად – გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამების სპეციფიკა, თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები. საკუთარ შენობაში კოლეჯს შეუძლია უზრუნველყოს უფრო მაღალი ხარისხის სასწავლო გარემო, მათ შორის აუდიტორიები, ლაბორატორიები და დამხმარე ინფრასტრუქტურა, რაც დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესზე. საკუთარი ფართი კოლეჯს აძლევს შესაძლებლობას უზრუნველყოს საქმიანობის მეტი მოქნილობა და გრძელვადიანი სტრატეგიული და მდგრადი განვითარება.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები; კოლეჯს წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №N1-33 ბრძანებით. შესაბამისობის გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - აქტივობა - შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დადებითი დასკვნის მოპოვება - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დასკვნის მოპოვება

5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან. აღნიშნული გეგმის მიხედვით კოლეჯს 5.1.2.1 და 5.1.2.3 კომპონენტების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 ნოემბერი დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.7 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას; განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია, უკვე არსებულ გამოკითხვის ფორმატში (კითხვარი პროფესიული სტუდენტისთვის) დამატებით ინტეგრირდეს (ან ცალკე შემუშავდეს კითხვარი) კითხვები, რომლებიც დაეხმარება კოლეჯს შეაფასოს დაწესებულების რესურსების გამოყენების პრაქტიკა და ეფექტიანობა. ეს მექანიზმი ხელს შეუწყობს საჭიროებების სისტემურ ანალიზს და დაეხმარება დაწესებულებას ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებაში, რეალურ საჭიროებებსა და მოლოდინებზე მორგებით.

5.2.1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას; განმავითარებელი რეკომენდაცია: რეკომენდირებულია ვიზიტის ფარგლებში პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობაზე დანიშნულმა პირმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კურსი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, კოლეჯმა მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეთანხმება.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს სიოს 2025 წლის 01 აგვისტოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის გაგზავნილი წერილის N00014459 თანახმად, სტანდარტთან შესაბამისობის ორ ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულებამ მიიღო შესაბამისი ზომები, კერძოდ: 5.1.2.1 - მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან რათა მოხდეს სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. განაცხადი უკვე გაკეთებულია და მიმდინარე წლის 28 ივლისს განხორციელდა კოლეჯის დათვალიერება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელთა მიერ, ასევე მოხდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შემოწმება/გამოცდა. დაწესებულება ელოდება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის დოკუმენტს.

5.1.2.3 - 2025 წლის 29 ივლისის Mia 7 25 02396177 წერილით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეითანხმა შპს „სიო“-ს დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა (წერილი თან ახლავს დასკვნას). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სტანდარტთან შესაბამისობის გეგმის ინდიკატორის - 5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან - დაწესებულებამ უკვე განახორციელა, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს, როგორც შესრულებული.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, შპს სიო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ახალ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა, საერთო ფართი 609.96 კვ.მ, რომელიც წარმოადგენს შპს სიო-ს საკუთრებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შიდა აზომვითი ნახაზი და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, საგადახდო დავალებები, ინვენტარიზაციის აქტი)

დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ჰოლი, აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცეები, დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, არქივი, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით, უწყვეტი ინტერნეტით. სასწავლო აუდიტორიები და ზემოაღნიშნული ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამის ფუნქციონირებას. პსდ-ს დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, სადაც გაწერილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლების პროცედურები და პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებელთა მიერ ამ რესურსით სარგებლობის პირობები და უფლებები. კოლეჯი არ ზღუდავს პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს ისარგებლონ მატერიალური რესურსებით, თუ მათი გამოყენება დაკავშირებულია საგანმანათლებლო ან შემეცნებით საქმიანობასთან. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილია როგორც ადმინისტრაციული რეგულაციებით, ასევე პრაქტიკაში დანერგილი პროცედურებით. პსდ-ს დამტკიცებული აქვს ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, რომლის ძირითადი მიზანია კოლეჯის თანამშრომლებისა და მომხმარებლებისათვის დანერგოს უსაფრთხო სამუშაო გარემო საფრთხეებისა და რისკების შემცირების გზით; ასევე, პსდ-მ წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოების გეგმა“, რომელიც შემუშავებულია შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის მენეჯერის მიერ და მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ ინფორმაცია; ფუნქცია-მოვალეობები; რისკების შეფასება და მართვა; პერსონალის სწავლება; უბედური შემთხვევების მოკვლევა; პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა; საგანგებო სიტუაციების მართვა; მონიტორინგი და კონტროლი; შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთ წლიანი გეგმა. ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია ჟურნალში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. პსდ-ს ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხიმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის შესაძლებლობას.

5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში მეტწილად დაცულია უსაფრთხოების ზომები; კოლეჯს წარმოდგენილი აქვს სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის №N1-33 ბრძანებით. შესაბამისობის გეგმა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 5.1.2.1 - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - აქტივობა - შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დადებითი დასკვნის მოპოვება - სახანძრო უსაფრთხოების სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და დასკვნის მოპოვება 5.1.2.3 - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - აქტივობა - საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის დოკუმენტის სრულყოფა და ადაპტირება ახალ შენობასთან, შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოებთან. აღნიშნული გეგმის მიხედვით კოლეჯს 5.1.2.1 და 5.1.2.3 კომპონენტების შესრულების ბოლო ვადად განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 ნოემბერი ვიზიტის ფარგლებში პსდ-მ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის N1-47 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გასაგზავნი წერილის პროექტი. შესაბამისობის რეკომენდაცია: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება. კოლეჯში ყველა სასწავლო

აუდიტორია, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ლეპტოპებით. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულია საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი კომპიუტერული ქსელის შეუფერხებელ და გამართულ მუშაობაზე, თითოეული კომპიუტერის ინტერნეტით და სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფაზე, რეგულარული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯს არ ჰყავდა პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც არ ექნებოდა შეხება კოლეჯის პერსონალურ მონაცემებთან - მოვალეობას ასრულებდა კოლეჯის ბიბლიოთეკარი. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის ეფექტური განხორციელების მიზნით ინტერსთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს კოლეჯის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელი ან იყოს, მაგრამ არ ჰქონდეს შეხება კოლეჯის პერსონალურ მონაცემებთან. ვიზიტის დროს კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციაზე დანიშნა პირი, რომელიც არის კოლეჯისგან დამოუკიდებელი პირი და წარმოადგინა მასთან გაფორმებული ხელშეკრულება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. რეკომენდირებულია აღნიშნულმა პირმა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კურსი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის თაობაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეთანხმება. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლები. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, კლინიკური პრაქტიკით სარგებლობის გადასახადი, სასწავლო მასალები, მატერიალური რესურსების განახლების, ინფრასტრუქტურის და კომუნალური ხარჯები, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია - 20 პროფესიული სტუდენტი (212280 ლარი). პროგრამისა და დაწესებულების ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო საქმე“

ექსპერტის განცხადებით, პსდ საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ქალაქ ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა № 21ა-ში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 (ერთი) A/C გარემო (30 პროფესიულ სტუდენტზე), 2 (ორი) A გარემო (70 და 30 პროფესიულ სტუდენტზე), პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი 1 (ერთი) B გარემო - კომპიუტერული კლასი (20 პროფესიულ სტუდენტზე). დაწესებულებაში ვიზიტისას ექპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა მატერიალური რესურსები და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო საქმე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 195 პროფესიულ სტუდენტს. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზეც, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად არის მაქსიმუმ 130

პროფესიული სტუდენტი. პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები პრაქტიკის დარგში თანაფარდობით - 1/7. ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებოდა - 155 აქტიური პროფესიული სტუდენტი. სტატუსი შეჩერებული აქვს სულ - 7 პირს, ხოლო შეწყვეტილი 1 პირს. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან: შპს კლინიკა ,,ბომონდი", შპს თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი, ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი,აკ. ბიძინა ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი,დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი, ჯანმრთელობის ეროვნული ორგანიზაცია, შპს ლჯ-ის კლინიკა. კლინიკები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც უკვე ხორციელდება 68 პროფესიული სტუდენტისათვის (2023 წლის მიღების) კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკის დარგში და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტის - შპს კლინიკა,,ბომონდი"-ის წარმომადგენელთან გასაუბრება და დაფიქსირდა სრული მზაობა გააგრძელონ თანამშრომლობა კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითაც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 47 პირი, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების (1 - საინფორმაციო ტექნოლოგია, 2 - უცხო ენა, 2 - კომუნიკაცია, 1- ქართული ენა) განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 41, აქედან 29 - პროფესიული განათლების მასწავლებელი პრაქტიკის დარგში. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ადმინისტრაციულ წარმოებაში გათვალისწინებული იყო მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტის (5.1. და 5.2. კომპონენტები) შეფასებაც. რამდენადაც პროგრამას შეეცვალა განხორციელების მისამართი, რომელიც არ იყო შეფასებული ექსპერტთა მიერ, 5.1. კომპონენტის შეფასებისას გამოვლინდა, რომ არ ჰქონდათ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ უწყებასთან, ასევე, არ ჰქონდათ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის საფუძველზე, ეს კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს სიოს მიერ "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს სიოს (ს/კ: 212797945) "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 4).**

საბჭოს მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს სიოში 5.1 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 24 ნოემბერი.

მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა

სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, მანანა მახარაშვილის, განცხადებით, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მიმდინარე ეტაპისთვის ახორციელებს მე-5 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტის დროს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი, ასევე, მათი საკმარისობა, შემოწმდა განათლების ორივე დონესთან მიმართებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის, გამოყოფილი რესურსი (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) არ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს განათლების მოცემული დონეებისთვის. პერსონალის დატვირთვა, რომლებიც, ასევე, ასწავლიან ბაკალავრიატის საფეხურზეც, არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. ამასთან, პროფესიული განათლების საფეხურისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, რომლებიც არ ზიარდება განათლების სხვა საფეხურის პროგრამებისთვის. ხოლო დაწესებულების ბიბლიოთეკა, სამუშაო ადგილებითურ და წიგნადი ფონდით, სრულად უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო მომსახურებას.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 11-13 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები „ხიჭაური“). ვიზიტის მიზანს შეადგენდა დაწესებულების პირობების და საგანმანათლებლო პროგრამების („საექთნო განათლება", "ბუღალტრული აღრიცხვა", "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი") საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ასევე სატელეფონო საუბრები გაიმართა საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტების წარმომადგენლებთან. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, მიმდინარე ეტაპისთვის ახორციელებს მე-5 დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტის დროს დაწესებულების მატერიალურტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი, ასევე მათი საკმარისობა, შემოწმდა ორივე განათლების დონესთან მიმართებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის შეფასებით, დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის, გამოყოფილი რესურსი (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური) არ წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს განათლების მოცემული დონეებისთვის. პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ასევე ასწავლიან საბაკალავრო პროგრამებზეც, არ სცდება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. ამასთან პროფესიული განათლების პროგრამებისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო კაბინეტები შესაბამისი აღჭურვით, რომლებიც არ ზიარდება განათლების სხვა დონეების

პროგრამებისთვის, ხოლო დაწესებულების ბიბლიოთეკა, სამუშაო ადგილებითა და წიგნადი ფონდით, უზრუნველყოფს სრულყოფილს საბიბლიოთეკო მომსახურებას დაწესებულების განათლების ყველა დონისთვის. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 2019 წელს (პსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება #29, 23.08.2019). დაწესებულების მიერ ავტორიზაციისთვის თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის მოქმედების ვადა განსაზღვრულია - 26.08.2025 წლამდე. დაწესებულების მიერ, თვითშეფასების დოკუმენტით, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებულია „სრული შესაბამისობით“, გარდა 5.1.1.4 და 5.1.2.1 ინდიკატორებისა. აღნიშნული ინდიკატორები დაწესებულების მიერ შეფასებულია „ნაწილობრივი შესაბამისობით. რის საფუძველზეც, თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02). ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი განსაზღვრულია 18 თვიანი პერიოდით - 2025 მაისი-2026 ნოემბერი). ვიზიტის დროს, აღნიშნულ ბრძანებაში/დოკუმენტში დაწესებულების მიერ განხორციელდა ცვლილება, შესაბამისობის გეგმას დაემატა 4.1.2 კომპონენტი, რაც განაპირობა შეფასებისას გამოვლენილმა გარემოებამ - პერსონალის ყველა პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. ინდიკატორის შესრულების პერიოდი დაწესებულების მიერ განისაზღვრა 1 თვით (2025 წლის 16 ივნისი-2025 წლის 16 ივლისი), რაც გაითვალისწინეს ექსპერტებმა და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“. შეფასების შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობა შეფასდა სრული შესაბამისობით, ხოლო 5.1.1 კომპონენტი (კონკრეტულად 5.1.1.4 და 5.1.2.1 ინდიკატორები) შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისი, 4.1.2 კომპონენტი შეფასდა - მეტწილი შესაბამისობით. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. დაწესებულება ასევე გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის კორესპონდენციით (№01-16/11 19/07/2025) ადასტურებს დოკუმენტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და ეთანხმება გამოთქმულ შესაბამისობის და განმავითარებელ რეკომენდაციებს.

შენიშვნა: დაწესებულების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით 2022-2025 წლების პერიოდში კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 77- ს, საიდანაც 51 დასაქმებულია და ამ პერიოდის კურსდამთავრებულთა 66 % -ს შეადგენს. ექსპერტთა მიერ ასევე გამოთხოვილი იქნა, ვიზიტის პერიოდისთვის 2025 წელს საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტების სტატისტიკური მონაცემები. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ვიზიტის პერიოდისთვის 2025 წელს რეგისტრირებული და ერთიანი ტესტირების შედეგებით პოტენციური სტუდენტების სტატისტიკა ასეთია: „საექთნო განათლება“ 1 - ტესტირებაზე არ გასულა. „ბუღალტრული აღრიცხვა“ - 5 აპლიკანტი, ტესტირება გაირა 4 პირმა; „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ - 7 აპლიკანტი, ტესტირება გაიარა 7 პირმა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 4.1.2.1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის პირადი საქმეების და შრომითი ხელშეკრულებების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, დაწესებულების შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (შესრულების ვადა: 16.07.2025).

ინდიკატორი 5.1.1.4 შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით შესაბამისობის რეკომენდაცია - შენობა-ნაგებობა ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა დაწესებულებამ განახორციელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ. ბრძ. #02-05-04/02), განსაზღვრულ ვადებში. გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადა: 2026 წლის ნოემბერი.

ინდიკატორი 5.1.2.1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (შესაბამისობის გეგმით განსზღვრული პერიოდი: 2025 წლის მაისი-2026 წლის ნოემბერი).

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულების მიერ, მისია ხედვა, განსაზღვრულია საქმიანობის მიმართულების/განათლების დონეების მიხედვით, მათ შორის, ღირებულებებიც. გამომდინარე იქედან, რომ ღირებულებები, ზოგადად ხელს უწყობს დაწესებულების ერთიან, შიდა საზოგადოებისა და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა განაპირობოს დაწესებულებისა და მისი საქმიანობის წარმატება, სასურველია, ღირებულებები, ასევე მისიაც, ფორმულირებული იყოს დაწესებულებისთვის ერთი საერთო, საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

ინდიკატორი 1.2.1.1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია დაგეგმვის პროცესის მოქნილობის, მისი მართვისა და მონიტორინგის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდეს ერთი დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდება, სამოქმედო გეგმების (სტრატეგიული, სამოქმედო) დაგეგმარების, მონიტორინგის, შესრულების ეფექტურობის და პროცესის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მართვის მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. განმავითარებელი რეკომენდაცია - დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი არა მხოლოდ ფაქტობრივად შესრულების დადასტურება, არამედ მიზნის/ამოცანის მიღწევის დონის ან/და შესრულების ეფექტურობის შეფასებაც.

ინდიკატორი 1.2.2.2 პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესრულებული საქმიანობის/სამოქმედო გეგმების ანგარიშის/ანალიზის და საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების დოკუმენტირება.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები/პროგრამა ან გაწეროს აღნიშნული ფუნქცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში.

ინდიკატორი 4.1.1.1 პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული განმავითარებელი რეკომენდაცია: მმართველი ორგანოების, ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციებისთვის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები რეგულირდება სხვადასხვა დოკუმენტებით, მ.შ. ხშირ

შემთხვევაში ერთი და იმავე პოზიციისთვის. სასურველია რეგულირდებოდეს ერთი დოკუმენტით, ან/და განხორციელებული ცვლილებები ასახოს ყველა დოკუმენტში, რათა თავიდან აირიდოს განსხვავებული დასახელებების გამოყენებით გამოწვეული ბუნდოვანება.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია დასაქმების/პოზიციის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად იყოს მითითებული სამუშაო აღწერილობაში. ამასთან სამუშაო აღწერილობა წარმოდგენილი იყოს არა ცალკე დოკუმენტი, არამედ როგორც შრომითი ხელშეკრულების დანართი.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია, დაწესებულებამ გადახედოს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებს და უფრო მკაფიოდ გაავლოს ზღვარი, რომელიც ხარისხის მართვის მენეჯერს შეუზღუდავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ან/და აპელაციის პროცესებში მონაწილეობას.

ინდიკატორი 4.1.2.1 პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს და რეგულაციაში ცალკე პუნქტად გამოყოს იმ ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა, რომლებიც ადმინისტრაციულთან ერთად ახორციელებენ პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობასაც. აღნიშნული პერსონალისთვის დააწესოს საათობრივი შეზღუდვა.

ინდიკატორი 4.2.1.2 პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით; განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია დაიხვეწოს პერსონალის განვითრების გეგმა და მიეთითოს კონკრეტული აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, განხორციელების ვადები, განხორციელებასა და აქტივობის/გეგმის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 5.1.1.1 - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით განმავითარებელი რეკომენდაცია - მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს მხარეებს უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მესამე პირთა მიმართ რეესტრის უტყუარობის პრეზუმციის გავრცელების მიზნით.

ინდიკატორი 5.1.1.2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის განმავითარებელი რეკომენდაცია - ინკლუზიური გარემოს მოწყობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ასევე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, პანდუსის კონსტრუქცია ჩანაცვლდეს/მოეწყოს ცეცხლგამძლე მასალით.

ინდიკატორი 5.1.1.5 დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სასწავლო-სამუშაო გარემოში არსებული რისკების იდენტიფიცირებისა, მართვისა და პრევენციული ღონისძიებების დოკუმეტირება/გეგმის შემუშავება.

ინდიკატორი 5.2.1.3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალური

მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის დადასტურება, ყველა იმ პირთან, რომელთა მონაცემების დამუშავების ალბათობაც არსებობს. ამასთან უზრუნველყოს თანხმობის ფურცელში ყველა იმ მონაცემის განსაზღვრა, რომლის დამუშავებასაც ახდენს ასევე, პირად საქმეებში განთავსდეს დოკუმენტების ისეთი ასლები, სადაც არ იქნება სხვა პირთა პერსონალური მონაცემები მითითებული.
ინდიკატორი 5.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანებების ინდივიდუალურად გამოცემა ან გამოცემული დოკუმენტების ასლებში დაიშიფროს ინფორმაცია, ან მომზადდეს ამონაწერი. ასევე დაინერგოს ბრძანებების პროექტების კონტროლი და ბრძანების სამართლებრივი საფუძვლები მოარგოს ინდივიდუალურ შემთხვევას, შეცვალოს შაბლონური ტექსტი სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტის საკონსტატაციო და განკარგულებითი ნაწილების თანხვედრა. ასევე კონტროლი განხორციელდეს სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სხვადასხვა პროცესების ანგარიშების/დასკვნების დოკუმენტებზე განთავსდეს დოკუმენტის ავტორის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტის მომზადების თარიღი. ასევე გაკონტროლდეს უწყისების რეგისტრაციის პროცესი.
ინდიკატორი 5.2.2.2 პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა გამოიყენოს არა მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციებისთვის, არამედ სხვა ოფიციალური დოკუმენტების მომზადებისთვისაც (მაგალითად ბრძანებების, განცხადებები, ცნობების და სხვა), რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სანდოობასა და სამართლებრივი დოკუმენტების ფორმის დაცულობას.
ინდიკატორი 5.2.2.3 პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულების პასუხისმგებელი პირის მიერ, განხორციელდეს პერიოდული რევიზია, ბაზაში ასახული ინფორმაციის სისრულისა და აქტუალობის თვალსაზრისით. სრულყოფილად იქნეს მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია. კურსდამთავრებულებთან, დიპლომის ელექტრონულ ასლებთან ერთად ატვირთ ული იქნეს დოკუმენტის დანართიც.
ინდიკატორი 5.2.3.4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია, დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი გაამდიდროს სტუდენტური ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალით, ასევე განთავსდეს დაწესებულების მისია, ხედვა, ძირითადი მიზნები და სერვისების შესახებ ინფორმაცია, რათა გახდეს უფრო მრავალფეროვანი და დაინტერესებულ მხარეთათვის საინტერსო და მარტივად აღქმადი.

ბ. II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად გაცემული რეკომენდაციები.
რეკომენდაციები ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე:
ინდიკატორი 2.3.1.1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; განმავითარებელი რეკომენდაცია: ურთიერთდასწრების ეფექტურად ორგანიზებისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყველა მოდულის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით,

სასურველია, ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი წინასწარ იქნეს შემუშავებული და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დასწრების შედეგების/შეფასებისა და უკუკავშირის დოკუმენტირება.
ინდიკატორი 2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; განმავითარებელი რეკომენდაცია: - ქართული ენის მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების/დადასტურების ვადები; - სასწავლო პროცესის/საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნეს კალენდარული გეგმებში მეცადინეობათა უფრო დეტალური და ეფექტური დაგეგმვა.
ინდიკატორი 2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; განმავითარებელი რეკომენდაცია: - შემუშავდეს საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, სადაც განისაზღვრება პროცესის ეფექტურად და ორგანიზებულად წარმართისთვის მნიშვნელოვანი საკითხები - დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების ინტეგრირებულად დადასტურება ერთი ტესტის/კომპლექსური პრაქტიკული დავლებების გამოყენებით. - თეორიული კომპონენტის შეფასებისას, ინსტრუმენტის ავტორებმა უზრუნველყონ მრავალფეროვანი ტესტური დავალებების შემუშავება, ხოლო ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესში ჩართულმა პირებმა, აქცენტები გააკეთონ აღნიშნული მიმართულებითაც და არ შემოიფარგლონ, მხოლოდ შეფასების ინსტრუმენტის მოდულის/სწავლის შედეგთან შინაარსობრივი ან დადგენილი სტრუქტურის ტექნიკურად შესაბამისობის შეფასებით; - გადახედილი იქნეს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებთან/ტერმინებთან; - პროგრამის/ მოდულის ფარგლებში შემუშავდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფს გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.
ინდიკატორი 2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; განმავითრებელი რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ გადახედოს არსებულ ვერიფიკაციის წესს. დახვეწოს/შეიმუშაოს პროცესის სრულყოფილად დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით ვერიფიკაციის პროცესის დოკუმენტების წარმოების/მართვის ინსტრუქციები.
ინდიკატორი 2.4.2.3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია გადაიხედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უზრუნველყოფილი იქნეს საკითხის ურთიერთგამომრიცხავი დებულებების რედაქტირე.

რეკომენდაცია ვრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „საექთნო განათლება“

ინდიკატორი 2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით
განმავითარებელი რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.
რეკომენდაცია ვრცელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე „საექთნო განათლება“

2.4.1.1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად; განმავითარებელი რეკომენდაცია: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იქნეს კვალიფიკაციის მინიჭების, ხოლო 2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო გეგმებში, შუალედური შეფასების პერიოდი.

პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად ზოგადი შინაარსის განმავითარებელი რეკომენდაცია.

ქართული ენის მოდულების განხორციელება - საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმების მიხედვით, ქართული ენის მოდულების (A2, B1 კრედიტების საერთო რაოდენობა: 30) სწავლების ხანგრძლივობა სხვადასხვაა („საექთნო განათლება“ - 26 კვირა; „ბუღალტრული აღრიცხვა“ - 20 კვირა, „სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელი“ - 40), სასურველია, დაწესებულების მხრიდან გადაიხედოს ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმები და უზრუნველყოს განხორციელების ერთგვაროვანი მიდგომა.

დოკუმენტების აქტუალიზაცია და ტერმინოლოგია - დაწესებულების შიდა დოკუმენტებში ფიქსირდება პროფესიული განათლებისთვის არამართებული ტერმინები, მაგ. „სასწავლო კურსები“, „ECTS“, „აკადემიური პერსონალი“, ასევე „მოდულური პროგრამა“ და სხვა. სასურველია, დაწესებულებამ დანერგოს პრაქტიკა, სისტემატიურად გადახედოს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და ასახოს მასში უახლესი საკანონმდებლო ან/და შიდა სტრუქტურული/პროცესუალური ხასიათის ცვლილებები. დოკუმენტებში უზრუნველყოს პროფესიული განათლების სისტემის/საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ტერმინები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას, მისამართზე: აჭარის ა.რ. შუახევი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური), პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებისთვის დათმობილი აქვს სამსართულიანი შენობა, სადაც თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია 2-2 აუდიტორია თეორიული სწავლებისთვის; პრაქტიკული სწავლებისთვის თითო აუდიტორია (C გარემოა), საერთო გამოყენებისთვის B გარემო/კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია 16 კომპიუტერით. ამავე რაოდენობის კომპიუტერია განთავსებული ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკული სწავლების აუდიტორიაში. დამატებით, მესამე სართულზე განთავსებულია თავისუფალი აუდიტორიები, რომელსაც დაწესებულება იყენებს საჭიროების მიხედვით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით (მერხი, სკამი, სადემონსტრაციო საშუალებები (დაფა, პროექტორი, ეკრანი) (იხ. დანართი, ინვენტარიზაციის აქტი). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ასევე ინვენტარიზაციის აქტი, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების მიზნებისთვის გამოყოფილ რესურსს. დოკუმენტით და ადგილზე ვიზუალური შემოწმებით დასტურდება პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფლობა. დაწესებულებას, მისამართზე: აჭარის ა.რ. შუახევი, სოფელი ტაკიძეები (ხიჭაური), პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებისთვის დათმობილი აქვს სამსართულიანი შენობა, რომლის მე-2 სართულზე, თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისთვის აუდიტორიები: - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“, გამოყოფილია: 2 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 B/C სასწავლო გარემო, 15 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით, მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის; - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საექთნო განათლება“, გამოყოფილია: 2 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 C სასწავლო გარემო (იმიტირებული პალატა). აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის

სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის; - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“, გამოყოფილია: 3 A სასწავლო გარემო, თითოეული 20-20 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის, 1 C სასწავლო გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და ჩარჩო დოკუმენტის სარეკომენდაციო ჩანაწერების გათვალისწინებით, სწავლებისთვის შესაბამისი რესურსით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის; - 1 B სასწავლო გარემო - აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით (პროექტორი, დაფა) და საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით შესაბამისი პარამეტრების კომპიუტერებითა და პროგრამული უზრუნველყოფით. მოწყობილია სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის. მე-3 სართულზე ძირითადად განთავსებულია 8 აუდიტორია თეორიული სწავლებისთვის, აუდიტორიები, რომელსაც დაწესებულება იყენებს საჭიროების მიხედვით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია მერხებით, სკამებით, აუდიტორიებში განთავსებულია პროექტორები, დაფები. B ტიპის გარემოში განთავსებულია კომპიუტერები. ხელმისაწვდომია სტუდენტური მოსასვენებელი სივრცეებიც, ღია ეზო და „სატრაპეზო“, სადაც სტუდენტები სარგებლობენ უფასო კვებით. დაწესებულებას აქვს ცალკე გამოყოფილი კორპუსი ბიბლიოთეკისთვის, მოწყობილია სამკითხველო. ბიბლიოთეკაში დაცულია სასწავლო მასალა, მხატვრული ლიტერატურა, პუბლიკაციები, მათ შორის მოიპოვება უნიკალური ეგზემპლარებიც. პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია.

ექსპერტის განცხადებით, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით - დაწესებულების შენობაში არაა მოწყობილი ცენტრალური გათბობის სისტემა. აღნიშნული გარემოება განპირობებულია უნივერსიტეტის ლოკაციით. უნივერსიტეტი მდებარეობს მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ სოფელში, რომელიც მიმდინარე ეტაპისთვის ჯერ კიდევ არაა გაზიფიცირებული. ამჟამად, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრო გამათბობლებს ცალკეული აუდიტორიებისთვის (მფლობელობაში აქვს სულ 26 ელ გამათბობელი). თუმცა დაწესებულება ზრუნავს უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი, რისთვისაც შესაბამის მოწყობილობების შეძენა დაწყებული აქვს (შეძენილია ცენტრალური გათბობის ქვაბი), რაც კონკრეტული ლოკაციის გაზიფიცირების შემთხვევაში, შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას, მოკლე დროში უზრუნველყოს გათბობის სისტემის მონტაჟი. ამ გარემოებების გამო, დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), სადაც ინდიკატორის შესრულებისთვის განსზღვრული აქვს 18 თვიანი პერიოდი (2025 წლის მისი-2026 წლის ნოემბერის პერიოდი), ხოლო ინდიკატორი სეფასებია „მეტწილი შესაბამისობით“. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, 5.1.1.(4) ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი და შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: შენობა-ნაგებობა ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა დაწესებულებამ განახორციელოს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), განსაზღვრულ ვადებში. გეგმით განსაზღვრული შესრულების ვადა: 2026 წლის ნოემბერი. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა დანერგვა-შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. 2023 წლის 21-23 ივნისს, პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, დაწესებულებაში განხორციელდა მონიტორინგი (საფუძველი: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის ბრძანება N654047). ექსპერტთა მიერ 5.1.2.1 ინდიკატორი შეფასდა,

როგორც ხარვეზი. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, რომ ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის თაობაზე და განხორციელების ვადებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან. მონიტორინგის ვიზიტისთვის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო. შესაბამისად, ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან შეფასდა როგორც ''არ შეესაბამება'. დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადის თვითშეფასებაში, ინდიკატორი შეფასებულია „მეტწილი შესაბამისობით". თვითშეფასებასთან ერთად გადმოგზავნილია ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: 12.03.2025 წ, ბრძ. #02-05-04/02), სადაც კონკრეტული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულებას გაწერილი აქვს 18 თვიანი პერიოდით (2025 წლის მაისი - 2026 წლის ნოემბერი). არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტების მიერ კრიტერიუმის 5.1.2.1 შეფასება დარჩა უცვლელი და შეფასდა „ნაწილობრივი" შესაბამისობით.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს შემოწმდა პსდს ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე, სადაც განთავსებულია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ თანხმობის ფურცელი, რომლითაც ხდება მონაცემების დამუშავების შესახებ პირის ინფორმირება და თანხმობის დადასტურება. სასურველია დაწესებულება თანხმობის ფურცელში, სრულად მოახდინოს იმ ინფორმაციის იდენტიფიცირება და შესაბამისად თანხმობის მიღება ან პირიქით, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია მოუწიოს, მაგ. ექსტრაკურიკულური აქტივობების დროს ფოტო-ვიდეო მასალის გადაღებისა და ვებ. გვერდზე/სოც. ქსელში განთავსების ნებართვის თაობაზე, ასევე დაწესებულების ტერიტორიაზე ვიდეო მონიტორინგის განხორციელების შესახებ ან სხვა. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს - დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი (https://www.tbeli.ge/) და სოციალური ქსელის ანგარიში (https://www.facebook.com/profile.php?id=100057412451775). ორივე შემთხვევაში დაწესებულებას მითითებული აქვს საკომუნიკაციო რეკვიზიტები (საკონტაქტო ტელეფონი, ელ ფოსტა). დაწესებულების ვებ და „ფეისბუქ" გვერდები ასრულებენ საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება გონივრულ ვადაში განათავსებს სიახლეებს საინფორმაციო პლატფორმებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე. კერძოდ, დაწესებულება იღებს საბიუჯეტო, ვაუჩერულ დაფინანსებას. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, პსდ-ს სტრატეგიული ამოცანების შესრულება უზრუნველყოფილია სქართველოს საპატრიარქოს მიერ. პსდ-ს მეთოდოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმების შესრულებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმას/ბიუჯეტს ამტკიცებს დაწესებულების აკადემიური საბჭო (იხ. ინდიკატორის 1.2.1 (3) აღწერა). დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი გათვალისწინებულია კონკრეტული ამოცანებისთვის განკუთვნილი მუხლების ფარგლებში, ან რესურსი შესრულებისთვის მიემართება მუხლიდან - „სხვა ხარჯები".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა"

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური),

რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025 წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორ ცვლაში). პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A/B და ერთი A გარემო. საჭიროებისას შესაძლებელია დამატებით B გარემოს/კომპიუტერული კლასის პროგრამის მიზნებისთვის გამოყენება, რომელიც ასევე აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილითა და სადემონსტრაციო საშუალებებით (დაფა, პროექტორი, ეკრანი.) პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე - იმიტირებულ გარემოში (იხ. ასევე 2.1.1 (1) ინდიკატორის აღწერა). პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 მასწავლებელი, აქედან 10 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 7 ზოგადი მოდულებისა, მ.შ. ქართული ენის მოდულების. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია, შესაბამისი პროფესიული და აკადემიურ-სამეცნიერო გამოცდილების მქონე პირი/პროგრამის ხელმძღვანელი, განსაზღვრულია ასევე მისი ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის საპროგნოზო და კორექტირებული ბიუჯეტები. საპროგნოზო ბიუჯეტი დაანგარიშებულია 60 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო კორექტირებული (რეალური) 7 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამების ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარია 1პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მისიიდან გამომდინარე, დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელებას არ აქვს კომერციული მიზანი და საჭიროებისას, სწავლება განხორციელდება ერთი სტუდენტისთვისაც. ამგვარ შემთხვევაში, პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო რესურსს გამოყოფს საქართველოს საპატრიარქო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური), რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025 წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული

მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას (ორ ცვლაში/2 ნაკადად). დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის. ორ აუდიტორია 20- 20 სამუშაო ადგილი პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ერთი A სასწავლო გარემოს აუდიტორიაში შექმნილია ბაგა–ბაღის იმიტირებული გარემო, აუდიტორია, როგორც ბაღის ჯგუფი, დაყოფილია სხვადასხვა აქტივობების ცენტრებად და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სადემონსტრაციო საშუალებებით (დაფა, პროექტორი, ეკრანი) და სასწავლო მასალებით. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულება შერჩეული ჰყავს ოთხი პარტნიორი ორგანიზაცია: - ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ შუახევის ბაგა–ბაღების გაერთიანება - ა(ა)იპ ხულოს ბაგა–ბაღების გაერთიანება. - ა(ა)იპ შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება, - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაგა–ბაღი. დაწესებულებამ ვიზიტის მიმდინარეობის დროს წარმოადგინა პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები (მემორანდუმების გაფორმების თარიღი: 10.05.2023 წ.), დოკუმენტის თანახმად, მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის კონკრეტული ღონისძიებების ორგანიზებას მხარეები განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი და მხარეების მიერ ნაკისრი სხვა უფლება–მოვალეობები. ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა ერთ-ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან. გასაუბრებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით (5 ჯგ.). ბაგა–ბაღს საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, შესაბამისად აქვს პოტენციალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიმართულებით გაუწიოს კვალიფიციური მომსახურება. დაწესებულების მიერ შერჩეული პრაქტიკული კომპონენტის თანაგანმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 25 მასწავლებელი, აქედან 17 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 8 ზოგადი, მ.შ. 2 ქართული ენის მოდულების. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ აღემატება „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილ ზღვრულ ნორმას - კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეებში (ხიჭაური), რომელიც დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში აქვს გადაცემული საქართველოს საპატრიარქოს მიერ 10 წლის ვადით შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 12 741,4 კვ.მ (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 10.12.2021 წ.), ასევე მოძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება (ხელშეკრულების სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 28.05.2025წ.). დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტებმა შეამოწმეს მატერიალური რესურსის ფაქტობრივი არსებობა და მათი კანონიერ საკუთრებაში ფლობის/განკარგვის დოკუმენტაცია. დაათვალიერეს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მიერ განსაზღვრული მატერიალური რესურსი იხ. 2.1.1 (4) ინდიკატორის აღწერასთან). დაწესებულება გეგმავს 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას. აგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმაა კოოპერაციული სწავლება, რომლის უზრუნველსაყოფად, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ნებართვების მქონე 5 კლინიკასთან:სს „ვიანი“ მ. იაშვილის სახ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი, შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, სს „საქართველოს კლინიკები“ ქედის კლინიკა, სს „საქართველოს კლინიკები შუახევის კლინიკა. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო შპს საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოაკიმეს და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრთან (204483380) გაფორმებული ხელშეკრულება (15.05.2025). კლინიკები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ხელშეკრულებები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობას (1/7) და პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას, პროგრამით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებლად იყენებენ მოდულის/სწავლის შედეგის შესაბამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 17 მასწავლებელი, აქედან 14 პროფესიული დარგობრივი მოდულების, ხოლო 3 ზოგადი მოდულებისა. ხელშეკრულება გაფორმებულია 4 ინსტრუქტორთან (თითოეულ ნაკადზე მისაღები პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა - 30 პროფესიული სტუდენტი) პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ აღემატება „საქართველოს შრომის კოდექსი“-თ დადგენილ ზღვრულ ნორმას - კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში.

საბჭოს თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა ინსტიტუციური სტანდარტების შეფასების ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმედია დაწესებულება ამ რეკომენდაციებს ყურადღებით მოეკიდება და მართლაც გამოიყენებს განვითარების მიზნებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა ხაზი გაუსვა ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნას და პრეზენტაციის ხარისხს და დაინტერესდა, როგორია ექსპერტთა საერთო შეხედულება, რამდენად მოახდინა დაწესებულებამ რეაგირება ადრე გაცემული რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით, ხომ არ მეორდება ერთიდაიგივე რეკომენდაციები, ყველანი ვაღიარებთ ამ დაწესებულების მნიშვნელობას რეგიონისათვის, მაგრამ გვინდა, რომ უკეთესი სურათი დავინახოთ მათი პროგრესის თაობაზე.

მანანა მახარაშვილმა განმარტა, რომ მათაც ესმით დაწესებულების განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულება და ნიშა, რომელიც მას უჭირავს, თუმცა ყველა რეკომენდაციის შესრულება არ არის მხოლოდ დაწესებულებაზე დამოკიდებული, პირველ რიგში ფინანსური რესურსების ნაწილში. ექსპერტთა ჯგუფისთვის საფუძველი იყო პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების მაღალი დონე. ის ისტორიული შეუსაბამობები, რომელიც მართლაც არსებობს რეკომენდაციების შესრულების დინამიკაში, ცალსახაა, მაგალითად, გათბობისა და სახანძრო უსაფრთხოების პრობლემების აღმოფხვრის საკითხებზე დაწესებულებას მეტი ძალისხმევა მართებს, წლობით დგას ეს პრობლემები და ამჯერად უნდა გადაწყდეს დადებითად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, ასევე, დასვა კითხვა, პირადი საქმეების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის შეუსაბამობები არსებობდა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა მეტი და დაზუსტებული ინფორმაცია და დეტალები წარუდგინა საბჭოს.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ წინა წარმოებების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებიდან დაწესებულებას ბევრი რამე გათვალისწინებული და შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გიგაშვილი, ასევე, დაინტერესდა, გამოყოფილი 7000 ლარიდან, აქვს თუ არა დაწესებულებას განსაზღვრული პრიორიტეტები, თუ რა მიმართულებით დაიხარჯება ეს თანხა ადამიანური რესურსების განვითარებისთვის
.
ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ პრიორიტეტები არის განსაზღვრული, ძირითადად ხმარდება მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა განვითარებას, თუმცა ეს ყველაფერი გამოკვლეულ იქნა მხოლოდ გასაუბრებების დონეზე და დოკუმენტურად ვერ დასტურდებოდა.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ აღნიშნა, რომ როგორც ჩანს, უფრო დოკუმენტური მტკიცებულებები აკლია დაწესებულებას, ვიდრე საქმიანობის სიმწირე. რაც შეეხება ფინანსებს, იკვეთება, რომ საპატრიარქოსგან იღებენ გარკვეულ შემოწირულობას, იყო თუ არა სხვა სახის შემოწირულობაც, დაინტერესდა საბჭოს წევრი.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ აჭარის განათლების სამინისტროსგან მხრიდან იყო გამოთქმული მზაობა სახანძროს პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით თანხის გამოყოფაზე, თავისთავად სახელმწიფო ვაუჩერიც ერიცხებათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ინდიკატორი 1.2.2.2. ფარგლებში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, შესრულებული

საქმიანობის/სამოქმედო გეგმების ანგარიშის/ანალიზის და საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების დოკუმენტირება, რა ეტაპზე შეინიშნებოდა არასრულყოფილება, ანალიზის პროცესში, შინაარსობრივ სიღრმეში თუ გაუმჯობესების დოკუმენტირების საჭიროება გამოიკვეთა.

ექსპერტმა განმარტა, რომ ყველა მიმართულებით შეინიშნებოდა მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება. აღსანიშნავია, ისიც, რომ რიგ დაწესებულებებში შეიმჩნევა, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებთან დაკავშირებით მსგავსი მიდგომა, დაწესებულებები აღრიცხავენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას, მაგრამ ანალიზი აკლია მათ ანგარიშებს, რაც სამომავლო დაგეგმვას გააუმჯობესებდა, ამ შემთხვევაშიც, მეთოდოლოგიაში სწორად იყო გაწერილი პროცესი, ინდიკატორების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიაც კარგად იყო გაწერილი, თუმცა ინდიკატორები იყო დასახვეწი, ანგარიშებში არ იყო ანალიზი და რეკომენდაციები დაგეგმილი აქტივობების შესრულება/ვერ შესრულების მიზეზებთან დაკავშირებით, ეს ანგარიშები უფრო სტატისტიკას წარმოადგენდა, სადაც მითითებული იყო აქტივობების რა პროცენტი შესრულდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 3.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით გაცემულ განმავითრებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით - სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები/პროგრამა ან გაწეროს აღნიშნული ფუნქცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებაში. თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა პროცესის მდგრადობისთვის, თუ ინდიკატორის სრულყოფილი შესრულების მიზნით.

ექსპერტმა განმარტა, რომ უფრო მეტად ინდიკატორის სრულყოფილად შესრულებას ემსახურებოდა ეს რეკომენდაცია. კარგი იქნებოდა დოკუმენტური მტკიცებულებები ყოფილიყო სრულად. ზეპირი კომუნიკაციით დასტურდებოდა, რომ დაწესებულებას მუდმივი კომუნიკაცია აქვს ამ მიმართულებით სტუდენტებთან, საკმარისზე მეტიცაა კომუნიკაცია და სტუდენტთა ინფორმირება, მაგრამ აკლდათ დოკუმენტირება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 4.1.1.2. ინდიკატორთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით -სასურველია დასაქმების/პოზიციის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად იყოს მითითებული სამუშაო აღწერილობაში. ამასთან სამუშაო აღწერილობა წარმოდგენილი იყოს არა როგორც ცალკე დოკუმენტი, არამედ როგორც შრომითი ხელშეკრულების დანართი. საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა: თქვენი აზრით რა ეფექტი აქვს ამ ფორმალიზაციას პროცესის ეფექტურობისთვის.

ექპერტებმა უპასუხეს, რომ დასაქმებულისთვის აქვს ამას არსებითი მნიშვნელობა. ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები სტრუქტურასა და სამუშაო აღწერილობაში განსხვავებულად იყო გაწერილი. ამიტომ გაიცა აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ერთგვაროვნად და ერთ დოკუმენტში გაწერილიყო ეს საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 5.1.1.1 ინდიკატორის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციით - მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ ავალდებულებს მხარეებს უძრავი ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებული გარიგების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, სასურველია, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, მესამე პირთა მიმართ რეესტრის უტყუარობის პრეზუმციის გავრცელების მიზნით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ შეუძლიათ ექსპერტებს შეაფასონ ხელშეკრულების რეესტრში დარეგისტრირების უარყოფითი მხარეები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება არ არის ვალდებული მთლიანად დაარეგისტრიროს ხელშეკრულება რეესტრში, მას შეუძლია დაარეგისტრიროს ხელშეკრულების დანართი, სადაც მიუთითებს მხოლოდ იმ რეკვიზიტებს, რომელიც რეესტრს სჭირდება, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ რაღაც საკითხები უნდათ საჯარო გახადონ, ესეც შეუძლიათ დაარეგისტრირონ რეესტრში, სამოქალაქო კოდექსიც ამბობს, რომ თუ ხელშეკრულება ნოტარიულად არის დამოწმებული, ის არ საჭიროებს რეესტრში გატარებას, თუმცა, თუ საჭირო იქნა რეესტრის ამონაწერის განახლება, განაცხადს რეესტრი არ იღებს, თუ არ არის ხელშეკრულება გატარებული. ამიტომ ჩათვალა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ ხელშეკრულების განახლების თაობაზე მესამე პირისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სასურველის თხოვების ხელშეკრულება რეესტრში იქნას გატარებული, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია, აღნიშნა ექსპერტმა, თუმცა, გარკვეულწილად პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს შეიძლება დავეჯახოთ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარეც დაეთანხმა.

5.2.2.2. ინდიკატორის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას შეეხო საბჭოს თავმჯდომარე - სასურველია, დაწესებულებამ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა გამოიყენოს არა მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციებისთვის, არამედ სხვა ოფიციალური დოკუმენტების მომზადებისთვისაც (მაგალითად, ბრძანებების, განცხადებების, ცნობების გატარებისთვის), რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის სანდოობასა და სამართლებრივი დოკუმენტების ფორმის დაცულობას. საბჭოს თავმჯდომარე ეთანხმება, რომ სამართლებრივი აქტები აუცილებლად უნდა იტვირთებოდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, თუმცა, ექსპერტების განმარტებით, ეს დაწესებულება ყველა დოკუმენტს აწარმოებს სწორად და დოკუმენტების შენახვის პრაქტიკაც სწორია.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, 2.4.2.1 ინდიკატორთან გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია რას გულისხმობდა, რომ გამოირიცხოს დადასტურებული სწავლის შედეგის/კრიტერიუმის კვლავ დადასტურება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხი ეხებოდა მეწარმეობის მოდულის შედეგების დადასტურებას. ტესტით დაადასტურებინეს თეორიული შედეგები, თუმცა პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას „ჩექლისტში“ ეს აღწერა მეორდებოდა, რაც დუბლირებას იწვევდა, ერთიდაიგივე კრიტერიუმი ორჯერ ფასდებოდა, რაზეც გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, თუ რას ეხებოდა აღმზრდელის პროგრამა ჰოლისტური მიდგომის კონტექსტში. საბჭოს წევრის განმარტებით, დაწყებითი განათლების მიმართულების რეფორმა ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალურია. შესაბამისად, დაისვა კითხვა, უზრუნველყოფენ თუ არა იმ პარტნიორ საბავშვო ბაღებში არსებული გარემო და პედაგოგები პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიან განხორციელებას, რომლებიც კოლეჯს პარტნიორებად ჰყავს შერჩეული.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ რამდენიმე ბაღში ფიზიკურადაც იყო, უნდა ითქვას, რომ, მართალია მათი ინფრასტრუქტურა გარკვეულ გაუმჯობესებას საჭიროებს, მაგრამ ბაღების მზაობა და გააზრება ავტორიზაციის სტანდარტებისა საკმაოდ მაღალია, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით ეჭვი არ გასჩენია
საბჭოს წევრი, გოჩა გოგიტიძე დაინტერესდა, პრაქტიკის ობიექტზე როგორი მიდგომაა, ვინ ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ჰყავთ პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც აკონტროლებს დასწრებას, ადგილობრივი სპეციალისტები/ბაღის მასწავლებლები აძლევენ სტუდენტებს დავალებებს, შეფასებას კი ახორციელებს პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელი მასწავლებელი, შეფასებაში ჩართული არიან ბაღის მასწავლებლებიც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, 2.4.1.5. ინდიკატორის ფარგლებში გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მთავრობის 416-ე დადგენილების მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, ხომ არ არის ეს შესაბამისობის რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რატომ იყო ეს განმავითარებელი და არა შესაბამისობის რეკომენდაცია, თუმცა ფორმულირება იყო, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს შესრულება, გარკვეულწილად სავალდებულოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციაა, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ. აქვე მან გაამახვილა ყურადღება, შემდეგ განმავითარებელ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის რეგულაციის შესაბამისობას 416-ე დადგენილების მოთხოვნებთან და აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაციაც უფრო შესაბამისობის რეკომენდაციაა, ვიდრე, განმავითარებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ძალიან პოზიტიურ კონტექსტში დაანახა ჯგუფმა დაწესებულებას ის შეუსაბამობები, რომელთა დანახვა დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადის შევსების დროს ვერ შეძლო. სქესობრივი დანაშაულისთვის ნასამართლეობის ცნობა უკვე ყველა მასწავლებლის პირად საქმეშია, განახლებულია შრომითი ხელშეკრულებები, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, განმავითარებელ რეკომენდაციებსაც გულისყურით გავეცანით და დაწყებულია მუშაობა უმრავლესობის გათვალისწინების და განხორციელების მიმართულებით, განაცხადა დაწესებულების წარმომადგენელმა. პირველ რიგში, მოწესრიგდა პერსონალის რეესტრი და სრულყოფილი გახდა, დაწყებულია მუშაობა სტუდენტთა ადაპტაციის პროგრამაზე, უნივერსიტეტში არსებობს უფლებამოსილების და დელეგირების წესი. თუმცა არ იყო სრულყოფილი პროფესიული განათლების ცენტრის შიგნით უფლებამოსილების დელეგირების მიმართულებით ხელშეკრულების რეესტრში გატარების საკითხი, რაც საპატრიარქოსთან შეთანხმებით მოგვარდება. რაც შეეხება სხვადასხვა უწყებების ფინანსურ მხარდაჭერას, ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგალითად, დაწესებულების კომუნალურ გადასახადებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საფასურებს აჭარის რეგიონის მთავრობის აპარატი უზრუნველყოფს. ამ ეტაპზე დაწესებულების მეორე სართულზე გათბობის სისტემა ელექტროენერგიაზეა, რადგან ბუნებრივი გაზი ჯერ კიდევ არ არის შემოყვანილი მუნიციპალიტეტში. უზარმაზარ ელექტროენერგიის გადასახადს გვიხდის ადგილობრივი ხელისუფლება. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების საკითხის მოგვარებას, რომელიც ჯერ კიდევ წინა შესაბამისობის გეგმაშიც ფიგურირებდა, აქაც გვაქვს წინგადადგმული ნაბიჯები, დარჩენილია ავტომატური შეტყობინების სიტემის დამონტაჟება და ონკანების მოწესრიგება, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთანა არის დაკავშირებული. ამ პროცესის დასრულების ვადები შესაბამისობის გეგმაშიც გვაქვს ასახული. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, ქართული ენის მოდულების სხვადასხვა ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, განმარტა დაწესებულების წარმომადგენელმა, ტექნიკურ უზუსტობას უნდა მივაწეროთ. წარმოუდგენელია, ერთიდაიგივე მოცულობის მოდულები სხვადასხვა დროში ხორციელდებოდეს, ეს უზუსტობა ჩვენ თვითონ ვერ აღმოვაჩინეთ, რადგან ეს მოდულები არ გამოგვიყენებია, დღემდე არ დაგვჭირვებია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 247865289) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 14 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში 4.1 და 5.1 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 25 ნოემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:00 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფზამთელსაფლის
ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N33/35 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	103

პროგრამის სახელწოდება	გემბანის რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. N33/35 ქ. ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის 21ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	195
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო განათლებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	აჭარის ა. რ. შუახევის რაიონი, სოფ. ტაკიძეები („ხიჭაური“)
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129